



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქ ა ლ ა ქ რ უ ს თ ა ვ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ი ძ ე ბ ი ს მ ე რ ი ს
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება: 38. 382233221

თარიღი: 28/11/2022

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ა“, „ბ“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტის, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N9 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის N1 სხდომის ოქმის გათვალისწინებით

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ შემუშავებული „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა“ დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქუჩა N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარი ტატალაშვილი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა

I. შესავალი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით შემუშავებულ დოკუმენტს, სადაც განსაზღვრულია კონცეპტუალური ხედვა, პრიორიტეტული, სტრატეგიული მიმართულებები და დასახულია 2022 წელს განსახორციელებელი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტის სამსახურებისთვის დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა შესაძლო სფეროსა და სივრცეში შშმ პირთა მონაწილეობის პროგრესული ზრდისთვის.

გეგმა ეფუძნება არსებული მდგომარეობის შესწავლას, იგი ითვალისწინებს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპებს.

II. სიტუაციური ანალიზი

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლების განმავლობაში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის, შესაბამის ინფრასტრუქტურასა თუ სერვისებზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით. მუნიციპალიტეტი, როგორც ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერების და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდის მიზნით თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში, ქმნიდა და კვლავაც შექმნის ადაპტირებულ გარემოს, კერძოდ:

- განხორციელდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობის ნაწილობრივი ადაპტირება. შენობა-ნაგებობებში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, შედეგად კი, ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ შესაძლებლობა შევიდნენ, შენობაში და ისარგებლონ მუნიციპალური სერვისებით.

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი საკრებულოს 2022 წლის 22 ოქტომბრის N273 დადგენილებით, რომლითაც დამტკიცდა „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული საქმისწარმოების წესი“, დგინდება ახალი უფლებრივი გარანტიები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. კერძოდ, შშმ პირს აქვს შესაძლებლობა ელექტრონულ მისამართზე (rustavi.municipality@rustavi.gov.ge) მიმართვის გზით ისარგებლონ მუნიციპალური სერვისებით, აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ მომსახურების პირობებს, ისარგებლონ რუსთავის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ცხელი ხაზით და მიიღონ სასურველი ინფორმაცია მუნიციპალური სერვისების შესახებ, აღნიშნული უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებლების მიერ მომსახურების პირობების გაცნობის შესაძლებლობას.

შესაბამისად, ვინაიდან „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა დგება ყოველწლიურად, კომისია შეიმუშავებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმას უკვე 2022 წლისთვის. შშმ პირთა უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიების გაუმჯობესებასა და ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესის მიუხედავად, შშმ პირთა ინკლუზიის გზაზე გამოწვევები კვლავ მრავლადაა. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად ყოველწლიური შიდაუწყებრივი გეგმების შემუშავებას, რათა ჯეროვნად და თანმიმდევრულად აღასრულოს კანონით ნაკისრი ვალდებულებები.

III. სამოქმედო გეგმის მიზანი

სამოქმედო გეგმის მიზანს წარმოადგენს, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციასა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით, გამოკვეთოს ახალი პრიორიტეტები, რომელთა აღსრულებაც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა უნდა დაიწყოს 2022 წელს, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს შშმ პირთა უფლებების დაცვას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მუნიციპალიტეტში არსებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებებისა და ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად შესაბამისი ქმედებების განხორციელების დაწყებას, ასევე ნაწილობრივ უკვე ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის გამუჯობებაზე მუშაობის დაწყებას, აღნიშნული გულისხმობს ეტაპობრივად ყველა შესაძლო სერვისის სრული ხელმისაწვდომობის შეთავაზებაზე სამუშაო პროცესის წარმოებას.

სამოქმედო გეგმის მიზანია ქალაქის ინკლუზიური განვითარება და მის ყოველდღიურ ცხოვრებაში შშმ პირთა სხვათა თანაბრად მონაწილეობის უზრუნველყოფა შესაბამისი შესაძლებლობების განვითარებით. კერძოდ, იმ ბარიერების აღმოფხვრით ან შემცირებით, რომელიც ხელს უშლის შშმ პირებს გონივრული მისადაგების პრინციპის საფუძველზე, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პროდუქტებისა და სერვისების გამოყენებასა და შექმნაში.

IV. ხედვა, მიზნები და ამოცანები

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ხედვაა შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნისა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის მიზნით გარკვეული აქტივობების განხორციელება, რაც უკავშირდება როგორც ადაპტირებულ ინფრასტრუქტურას, (რაც ნაწილობრივი განხორციელებულია) ასევე ვებ-გვერდისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის მუშაობის დაწყებას. აღნიშნული ხედვა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები დადგენილ ვადაში, ეტაპობრივად შესრულდება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ.

სამოქმედო გეგმის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა შემდეგი მიმართულებებით:

- **I სტრატეგიული მიმართულება** - მაქსიმალურად ინკლუზიური და ადაპტირებული გარემოს შექმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის;

- **II სტრატეგიული მიმართულება**- შშმ პირთა ინკლუზიის და მისაწვდომობის გაზრდის მიზნით მუნიციპალური სერვისების ადაპტირება და ხელმისაწვდომობა;
- **III სტრატეგიული მიმართულება** - შშმ პირთა ღირსების დაცვა, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, მათი უფლებების რეალიზებისთვის გარანტიების შექმნა;

V. სტრატეგიული მიმართულებების პრიორიტეტული ამოცანები

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად საჭიროა, რომ უწყვეტად და სისტემურად მიმდინარეობდეს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კონკრეტული შედეგების მისაღწევად, განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტული ამოცანები:

- კერძო ბიზნესის სფეროში ცნობიერების ამაღლება, მათ მომსახურების სფეროებსა და სერვისებზე შშმ პირთა წვდომის (როგორც ფიზიკურ, ასევე დისტანციურ) უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;
- ხარისხიანი და მიზანზე ორიენტირებული სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა შშმ პირთათვის;
- შშმ პირთა მიმართ ჯანმრთელობის დაცვისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივი სივრცეების, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების და მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა გონებრივი მისადაგების პრინციპის საფუძველზე, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

VI. ინკლუზიის საკითხების მართვა, კოორდინაცია, მონიტორინგი და ანგარიშგება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით სამოქმედო გეგმის მონიტორინგს განახორციელებს მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირები.

VII. სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მნიშვნელობა

სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებას აქვს დიდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული გეგმის განხორციელება გაზრდის:

- შშმ პირთა სოციალური ფუნქციონირების ხარისხს;
- საზოგადოებრივი სერვისებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე ობიექტების ხელმისაწვდომობისა და სარგებლობის

შესაძლებლობას;

- შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხს, ხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის ხელმისაწვდომობასა და ჩართულობას;
- შემცირდება დისკრიმინაციისა და არასათანადო მოპყრობის საფრთხე;
- გაუმჯობესდება შშმ პირთა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების ხარისხისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022წლის სამოქმედო გეგმა				
მიზანი 1.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა.			
ამოცანა 1.1	შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება.			
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ითვალისწინებს შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერებას ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ადგილობრივ დონეზე.	ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი: შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების განხორციელება დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებით.		
აქტივობა 1.1.1	სერვისების სრულყოფილი და ეფექტური მიწოდებისთვის ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: 5 ABAთერაპევტი და 5 ადრეული განვითარების სპეციალისტის გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება.	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	
		2022 წლის მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა
			ადგილობრივი დაფინანსება	
	პარტნიორი უწყება: „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“			

აქტივობა 1.1.2	რამდენიმე პროგრამის ადაპტირება	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: სარეაბილიტაციო განმავითარებელ ცენტრ „კესანე“-ში სამი პროგრამის ადაპტირება: ABA თერაპიის პროგრამა; ადრეული განვითარების პროგრამა; შრომითი თერაპიის პროგრამა.	პროგრამაში ჩართული სპეციალისტების გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება;
	პარტნიორი უწყება: ცენტრის დონორი ორგანიზაციები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, კუალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის, საქართველოს ბავშვები.	

აქტივობა 1.1.3	ცენტრში არსებული პროგრამების/სერვისების გადახედვა, რომელიც ადაპტირებას ექვემდებარება ან შესაძლებელია დაექვემდებაროს ადაპტირებას			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: . ინდივიდუალური მომსახურების პროგრამის განხორციელება (0-დან 7-მდე და 7-დან 18 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბენეფიციარების სპეციალისტების მომსახურება); • ინკლუზიური განათლებისთვის მოსამზადებელი პროგრამის განხორციელება, რომელიც გულისხმობს 3-დან 7 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის მომზადებას სკოლამდელი ინკლუზიური განათლებისთვის; • სკოლამდელი ინკლუზიური განათლების (ბაღის) პროგრამის განხორციელება (3-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ტიპური და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ერთობლივი სწავლება); • დღის ცენტრის პროგრამის განხორციელება (7-დან 18 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბენეფიციარებისთვის)ამასთან, ინდივიდუალურად მორგებული გეგმით მომსახურება • შრომითი თერაპიის პროგრამის განხორციელება (18-დან 33 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბენეფიციარების სხვადასხვა შრომით და თერაპიულ აქტივობებში ჩართვა)	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	
		2022 წლის მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა
			ადგილობრივი დაფინანსება	

	• ქცევის გამოყენებითი ანალიზის(ABA)პროგრამის განხორციელება (2-დან 15 წლის ჩათვლით ბენეფიციარების ქცევისა და მეტყველების თერაპევტებით მომსახურება); • ბავშვთა ადრეული განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელება(დაბადებიდან სამ წლამდე და საჭიროების შემთხვევაში 7-წლამდე ასაკის განვითარების დარღვევის ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების მომსახურება), აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შედის: • მუსთერაპია; • თიხის თერაპია; • ხელგარჯილობა • რელიგია			
ამოცანა 1.2	მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში (ტროტუარების, გადასასვლელების, გაჩერებების, მისასვლელების, სკვერების რეაბილიტაციის-მოწყობის სამუშაოები) ინკლუზიური საჭიროებების გათვალისწინება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: მუნიციპალიტეტის მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	
		2021 წლის მე-4	მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი	სხვა

	ქ. რუსთავი, ასლანიკაშვილის N8-2, მე-19მ/რ-ის N9-57-თან და თოდრიას პირველ ჩიხში პანდუსები მოეწყო. ქ. რუსთავი, დ. გარეჯის N30-ში პანდუსი მოეწყო და კიბის რეაბილიტაცია განხორციელდა. ქ. რუსთავში ფიროსმანის ქუჩის N31, 33, 35, 37, 37ა შიდა ეზოების ტერიტორიის კეთილმოწყობის და ოდიშარიას, 1-ლი მაისისა და გაგარინის (ფიროსმანის ქუჩიდან მშენებელთა ქუჩის კვეთამდე) ქუჩებზე ტროტუარის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა. ქ. რუსთავში მე-8 მკ.რ. N2-ის მიმდებარედ მრავალფუნქციური სათემო სკვერის მოწყობის (სკამები, განათება, გამწვანება, საბავშვო და სპორტული მოედნები, ფანჩატური) სამუშაოები განხორციელდა. ქ. რუსთავში დიდების მემორიალის მიმდებარედ არსებული სკვერის სარეაბილიტაციო (ცურტაველის ქუჩა) სამუშაოების განხორციელება. - ქალაქ რუსთავში, მესხიშვილის N11-13-თან სკვერის მოწყობის სამუშაოების განხორციელება. ქ. რუსთავში დიდების მემორიალის მოპირდაპირედ არსებული სკვერის (მეგობრობის გამზირის მიმდებარედ -	კვარტალი	სამუშაოების ღირებულება - 11 186 ლარი სამუშაოების ღირებულება - 32 157 ლარი სამუშაოების ღირებულება -557158.52 ლარი სამუშაოების ღირებულება -141380.39 ლ სამუშაოების ღირებულება -1354439 ლ სამუშაოების ღირებულება -641886 ლ სამუშაოების ღირებულება -334439 ლ	
--	--	----------	---	--

	საგამოფენო სივრცე) სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. 8. ქალაქ რუსთავში, დ. კლდიაშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაციის და მედიათეკის მშენებლობის სამუშაოების განხორციელება. 9. ქალაქ რუსთავში, მესხიშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება 10. ქალაქ რუსთავში, ქალაქის შემოსასვლელის, თამარ მეფის სახელობის, ჟიული შარტავას სახელობისა და შოთა რუსთაველის სახელობის მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. 11. შარტავას გამზირის 19-დან მე-20მ/რ-ის 1 კორპუსამდე ტროტუარის მოწყობა. 12. მე-16 მ/რ სტამბულის ბაზრის გზის ტოროტუარები და სანიაღვრე სისტემის მოწყობა. 13. 9 ძმა ხერხეულიძის, გურამიშვილის, ლერმონტოვის და შევჩენკოს ქუჩების გზის ტოროტუარებისა და სანიაღვრეს მოწყობა. 14. რუსთაველის ქუჩაზე არსებული ტროტუარების შეკეთებისა და მერიის მიმდებარედ კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდა. 15. ლერმონტოვის 5-7-თან, მე-12 მ/რ-ის 24-		სამუშაოების ღირებულება - 4256 559.18 ლ სამუშაოების ღირებულება - 307 340.99 ლ სამუშაოების ღირებულება - 4 649 744.81 ლ სამუშაოების ღირებულება - 479439 ლ სამუშაოების ღირებულება -241751.19 ლ სამუშაოების ღირებულება -3142128.67 ლ სამუშაოების ღირებულება -173745.93 ლ სამუშაოების ღირებულება -613049.80ლ სამუშაოების ღირებულება -406164.25ლ	
--	---	--	--	--

	თან და თოდრიას 7-თან სკვერი მოწყობილია.		სამუშაოების ღირებულება -145094.99ლ	
	16. მე-19-ს 12, თან 21-ს 11-თან და შარტავას 15-თან სკვერის მოწყობა განხორციელდა.		სამუშაოების ღირებულება -141380.39ლ	
	17. მე-20-ს 15-თან სკვერის მოწყობისა და შარტავას 7-თან შემეცნებითი ფანჯათუირის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა.		სამუშაოების ღირებულება -318379ლ	
	18. მე-8 მ/რ-ის 2-ის მიმდებარედ სათემო სკვერი მოეწყო.		სამუშაოების ღირებულება -790070.93ლ	
	19. ჩეხოვის 8-თან სკვერი მოეწყო.		სამუშაოების ღირებულება -694306.83ლ	
	20. მე-18, მე-19 მ/რ-ებში სკვერი მოეწყო.			
	21. მე-8 მ/რ-ის 12 სკვერი მოეწყო.			

	პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინი		პასუხისმგებელი სამსახური: მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტრანსპორტის სამსახური	
--	---	--	---	--

ამოცანა 1.3.	ჯანმრთელობის დაცვისა და რეაბილიტაციის მომსახურებებზე წვდომა			
აქტივობა 1.3.1	აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელება გრძელდება, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში მომლოდინეთა რიგში ბავშვთა დაყოვნების ფაქტი არ ფიქსირდება.	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	
		2022 წლის მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი	სხვა
			400 000.00ლარი	
აქტივობა 1.3.2	შშმ პირთა მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება			

	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ „მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსების" ქვეპროგრამის განხორციელების წესი დამტკიცებულია. პროგრამის ფარგლები ითვალისწინებს ქ. რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ შშმ პირებს.	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	
		2022 წლის მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 180 600.00 ლარი	სხვა
აქტივობა 1.3.3	შშმ პირთა მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის დაფინანსება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: „შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი დამტკიცებულია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ. ქვეპროგრამა ითვალისწინებს შშმ პირთა მექონე სტატუსით მოსარგებლე პირთა მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათით სარგებლობას.	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	
		2022 წლის მე-4კვარტალი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა
				მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 30 800.00 ლარი

აქტივობა 1.3.4	შშმ პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამის განხორციელება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: " მოქალაქეთა ინდივიდუალური დახმარებების“ ქვეპროგრამა ითვალისწინებს მკვეთრად გამოხატულ შშმ პირების დაფინანსებას, განურჩევლად მათი სტატუსისა, ასევე 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს, რომელთაც სტატუსი მიენიჭათ სამედიცინო ექსპერტიზის კომისიის მიერ, აგრეთვე დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შშმ პირებს 18 წლის შემდგომ, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	
		2022 წლის მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა
			მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 78 600.00 ლარი	
აქტივობა 1.3.5	შშმ ტოტალურ უსინათლოთა გამცილებლის პროგრამის განხორციელება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: პროგრამა ითვალისწინებს ქ. რუსთავეში მცხოვრებ შშმ პირებს, რომლებსაც ესაჭიროებათ გამცილებლის მეშვეობით გადაადგილება სამედიცინო დაწესებულებაში, საყოფაცხოვრებო	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	
		2022 წლის მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა
			მუნიციპალიტეტის 2022 წლის	

	დაწესებულებაში, სახელმწიფო დაწესებულებაში.		ბიუჯეტი 7 400.00 ლარი	
	ინფორმაციის მოწოდებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია: „ქ. რუსთავის უსინათლოთა კავშირი“			
აქტივობა 1.3.6	შშმ სტატუსის მქონე სტუდენტთა სოციალური დახმარების განხორციელება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: პროგრამა ითვალისწინებს შშმ პირებს, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის მქონე პირები. აღნიშნული პროგრამით ხელშეწყობილია კრიტერიუმებიდან გამომდინარე რუსთაველი შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების გადაადგილება თბილისის მიმართულებით. (დახმარება მოიცავს თვეში ერთხელ 60 ლარის ოდენობის თანხას)	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	
		2022 წლის მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა
			მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 50 000.00 ლარი	

აქტივობა 1.3.7	სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელება		
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: - ქვეპროგრამა ითვალისწინებს შშმ პირებზე, დედის დღეს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის, ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღის და შობა-ახალ წელისა და სხვა სადღესასწაულო დღეებში (ტკბილეულით) დასაჩუქრებას. - მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება - ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ქ. რუსთავში რეგისტრირებულ შშმ პირებს. - მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება. - გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა. - დიალეზით დაავადებული შშმ პირების დახმარება.	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო

		2022 წლის მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2022 წლის	სხვა
--	--	-------------------------------	---	------

			85 000.00 ლარი	
			650 000.00 ლარი	
			300 000.00 ლარი	
			90 000.00 ლარი	
			65 000.00 ლარი	

	პასუხისმგებელი სამსახური: მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
--	---

ამოცანა 1.4.	საზოგადოებაში შუამ პირთა შესახებ ცნობიერების გაზრდა, პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შუამ პირთა ინფორმირება			
აქტივობა 1.4.1.	ბიზნეს სუბიექტებისთვის მათი ობიექტების მისაწვდომობის და უნივერსალური დიზაინის სარგებლიანობის პრომოცია (მტკიცებულების კონტენტის შექმნა, რეკლამირება, ინფორმირება)			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: ბიზნეს სექტორის წახალისების მიზნით საინფორმაციო ხასიათის კამპანია ჩატარებულია.	შესრულების ვადა 2022 წლის	დაფინანსების წყარო	
				სხვა

		მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი	
	პარტნიორი უწყება: ბიზნეს სექტორი	პასუხისმგებელი სამსახური: მერიის ქონების მართვის და ეკონომიკური განვითარების სამსახური (ეკონომიკური განვითარების განყოფილება)		
აქტივობა 1.4.2.	შშმპ საკითხების, მერიის პროგრამების, სერვისების და მოცემული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების, ასევე მათი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მერიის ვებ-გვერდზე განთავსება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: პროგრამების, სერვისებისა და სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის განთავსება მერიის ვებ-გვერდზე და მუდმივად განახლება.	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	
		2022 წლის მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი	სხვა
	პასუხისმგებელი სამსახური: მერიის აპარატი (საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილება)			
ამოცანა 1.5.	მართვის, კოორდინაციის, მონიტორინგის და შეფასების განხორციელება			
აქტივობა 1.5.1	გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ პასუხისმგებელი სამსახურები ამზადებენ და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აწვდიან პერიოდულ ანგარიშებს			
		შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	

	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის მომზადება და გამოქვეყნება.	2022 წლის მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი	სხვა
	პასუხისმგებელი სამსახური: მერიის აპარატი (საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილება)			